საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №1/25-2007 „23“ იანვარი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 იანვრის №78 ბრძანებულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 დეკემბრის №1/119-2006 გადაწყვეტილების შესაბამისად, 2007 წლის 1 იანვრიდან, –

1. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრ მოსამართლეს თიანეთის რაიონში სპარტაკ პავლიაშვილს დაბა თიანეთში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 100 ლარი.

2. კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მალხაზ ენუქიძეს ქ. კასპში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 100 ლარი.

3. გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილს და გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მერაბ გაბინაშვილს ქ. გორში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოთ თვეში 150 ლარი.

4. სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლილი ტყემალაძეს ქ. თბილისში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოეყოს თვეში 300 ლარი.

5. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის ქირის გაცემა.

6. გადაწყვეტილებაში მითითებულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი